დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, მთიანი გარემოს ინფრასტრუქტურის დაცვისათვის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი , რომელსაც შეუძლია მთის დინამიკურად ცვალებად პირობებში ორიენტაცია, წინასწარ გატარებული პრევენციული ღონისძიებების საფუძველზე გარემოს დაცვითი საინჟინრო ღონისძიებების გატარება, მთაში ბუნებრივი რისკ-ფაქტორების პროგნოზირება; თოვლისა და ზვავის გამომწვევი მიზეზების დადგენა; მთის ქანების წყლისმიერი ეროზიული პროცესებისაგან დაცვა; მთის მდინარეებზე კალაპოტური პროცესების რეგულირება და ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების მოწყობა. ორიენტირებული თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს ტეორიული და პრაქტიკული უნარჩვევები, შემდეგ საკითხებში:
განაზოგადებს მთაში წარმოქმნილ სტიქიურ მოვლენებს, მის გამომწვევ მიზეზებს, დაკავშირებულს ინფრასტრუქტურის დაცვასთან, კერძოდ: ღვარცოფთან, წყლისმიერ ეროზიასთან, მეწყერებთან, ზვავთან და ა.შ.;

- **განიხილავს** გარემოს მდგრადობისა და დაცვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს და აუცილებელ გასატარებელ პრეევენციულ ღონისძიებებს;
- **განსაზღვრავს** ბუნებრივი საფრთხეების გამომწვე მიზეზებს; ახდენს გარემოს მდგრადობის შეფასებასა და ანალიზს;
- **იყენებს** მთის ინფრასტრუქტურის დაცვისათვის მიღებულ ცოდნას; ატარებს გარემოს მდგრადობის დაცვისათვის საჭირო სპეციფიკურ ღონისძიებებს.
- **ასაბუთებს,** გარემოს მდგრადობისათვის გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობას; აყალიბბებს, საკუთარ დასკვნებს და წინადადებებს;
- **აკეთებს** არსებული საინჟინრო ტექნიკური ნაგებობების დათვალიერებას; ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისათვის საჭირო გასატარებელ პრაქტიკულ ღონისძიებებს და დასკვნებს;
- **იყენებს** მთის ინფრასტრუქტურის დაცვისათვის არსებულ საინჟინრო მათემატიკური მოდელირების მეთოდებს; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციულ ტექნოლოგიებს;
- **განსაზღვრავს** მთაში გარემოს მდგრადობის ფაქტორებს; ეკორისკებისაგან დაცვისათვის გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;
- **გეგმავს** პროფესიული კარიერის სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების აუცილებლობას; - სწავლის შედეგების მრავალმხრივ თანამიმდევრულ ეტაპობრივ შეფასებას;

- **ამტკიცებს** საინჟინრო პროფესიული ქცევის ღირებულებებს: პუნქტუალობას, ობიექტურობას, ორგანიზებულობასა და კეთილსინდისიერებისაკენ სწრაფვას, პროფესიისადმი პატივისცემას;

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX) -** ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- **FX**-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

	სასწავლო კურსი	**კრედიტი**
1.	უცხოური ენა 1	5
2.	უცხოური ენა 2	5
3.	უცხოური ენა 3	5
4.	უცხოური ენა 4	5
5.	მათემატიკა 1.1	5
6.	ზოგადი ფიზიკა A	4
7.	ინფორმატიკის საფუძვლები	5
8.	მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები	6
9.	მთის კლდოვანი ქანებისა და გრუნტების მექანიკა	5
10.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
11.	მათემატიკა 2.1	5
12.	ზოგადი ფიზიკა B	4
13.	პროგრამული უზრუნველყოფა „AutoCad“-ინჟინრებისათვის	4
14.	გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები მდგრადი განვითარებისათვის	5

15.	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	4
16.	მთის კლიმატი და აგრომეტეოროლოგიის საფუძვლები	5
17.	ღვარცოფებისა და ღვარცობსაწინააღმდეგო ნაგებობების ჰიდრავლიკა	5
18.	მთიანი გარემოს ჰიდროგეოლოგია	5
19.	მთის მდინარეების ჰიდრომეტრიის საფუძვლები	5
20.	გლაციოლოგიის საფუძვლები	5
21.	ნატანდატვირთული სითხეების მექანიკა	6
22.	ხმელეთის ჰიდროლოგია და წყლის რესურსები	5
23.	მთის მდინარეებზე კატასტროფული წყალმოვარდნების და წყალდიდობების საფუძვლები	5
24.	ზვავთმცოდნეობა	4
25.	მთის ნიადაგების დეგრადაცია და ეროზიული პროცესების მართვა	5
26.	მთაში საინჟინრო სისტემების მართვა	5
27.	მთის წყალსაცავები, მოსალოდნელი გამოწვევები და რისკების მართვა	5
28.	შესავალი საინჟინრო გეოლოგიაში	5
29.	მთიანი რეგიონის ლანშაფტური დაგეგმარება	5
30.	გარემოს დაცვითი სამართლის საფუძვლები	6
31.	გარემოს მდგრადობა და დაცვა	5
32.	მთიანი ლანდშაფტის საინჟინრო დაცვითი ნაგებობები	4
33.	საველე პრაქტიკა ჰიდროლოგია, ჰიდრომეტრია და ჩამონადენის რეგულირება	5
34.	მთიანი რეგიონის წყალმოთხოვნილება და წყალუზრუნველყოფა	5
35.	მთის ფერდობების მდგრადობა და ტყის ბუნებრივი რესურსების უსაფრთხო გამოყენების ტექნოლოგია	5
36.	მთიანი რეგიონების წყლის რესურსების ხარისხის დაცვა	5
37.	მთის ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება	5
38.	საველე პრაქტიკა „მთიანი რეგიონის მდგრადობა და კატასტროფული მოვლენებისგან დაცვა “	5
39.	გარემოს შეფასება	5
40.	სატყეო სამეურნეო საქმიანობა	5
41.	გეოდინამიკური პროცესების საინჟინრო - მათემატიკური მოდელირება	5
42.	მთაში კლიმატური ცვლილებები და მითიგაცია	5
43.	მშენებლობის ორგანიზაცია და პროცესების მართვა მთიან რეგიონებში	5
44.	საქართველოს ისტორია	3
45.	ფილოსოფიის საფუძვლები	
46.	პოლიტიკის საფუძვლები	
47.	კულტუროლოგია	

48.	ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები	
49.	სოციოლოგიის შესავალი	
50.	შესავალი ფსიქოლოგიაში	
51.	წყალთა მეურნეობის ეკონომიკა	5
52.	ეკო სასოფლო ტურიზმი	
53.	ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გენეზისი	
54.	მთის კენკროვანი კულტურების მოვლა მოყვანის ტექნოლოგია	
55.	მთაში ეკოლოგიური გამოწვევები, კატასტროფები და რისკები	
56.	ადამიანისა და გარემოს რადიაციული უსაფრთხოება	
57.	მთის სათიბ საძოვრების გაწყლოვანება	
58.	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	
59.	საქართველოს მაღალმთის ნიადაგები	
60.	მიწათმოქმედების საფუძვლები	
61.	წყლის გამოყენების ოპტიმალური რეჟიმები მთის მდგრად ორგანულ ფერმერულ სისტემებში	
62.	მთის მდგრადი ორგანული ფერმერული სისტემების საფუძვლები	
63.	მთის ბუნებრივი საკვები რესურსების გამოყენების უსაფრთხოება და უვნებლობა	
64.	გარემოს დაცვის ტექნიკური საშუალებები, მანქანები და აგრეგატები	
65.	ბუნებათსარგებლობიე ეკონომიკა	
66.	საინჟინრო უსაფრთხოების საფუძვლები	